

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს
სადისციპლინო კოლეგიის (2004-2006) და საერთო სასამართლოების
მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის (2006-2013)

გადაწყვეტილებათა განზოგადება სისხლის სამართლის საქმეებზე

(2004-2013 წლები)

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2004-2013 წლებში განხილული დისციპლინური საქმეების არსებული პრაქტიკის განზოგადებულ ვარიანტს - სისხლის სამართლის კატეგორიის საქმეებზე.

დოკუმენტი შეიცავს ცალკეულ გადაცდომათა კლასიფიკაციას 21 კატეგორიად. თითოეული ჯგუფში წარმოდგენილია დარღვევათა კონკრეტული სახეები. განმარტებები მოცემულია შენიშვნების სახით ტექსტის ქვედა ველში. გადაცდომები ძირითადად გამოიხატება მოსამართლის მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვის პროცესში დაშვებულ მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ნორმათა დარღვევაში, ასევე, დოკუმენტში წარმოდგენილია სხვა ნაკლებად მძიმე და ტექნიკური ხასიათის დარღვევებიც, ხაზგასმულია უფრო ფართოდ გავრცელებული და ნაკლებად გავრცელებული დარღვევათა სახეები.

ქეთევან ბექაური

*საერთო სასამართლოების მოსამართლეთა
სადისციპლინო კოლეგიის წევრი*

ირაკლი გვარამაძე

*საერთო სასამართლოების მოსამართლეთა
სადისციპლინო კოლეგიის მრჩეველი*

I. სასამართლოს არაგანსჯადი საკითხის განხილვა

1. გამომძიებლის (იურიდიული ძალის არმქონე) წერილის ბათილად ცნობის თაობაზე განცხადების განხილვა (სადისციპლინო ორგანომ მიუთითა, რომ ასეთ შესაძლებლობას საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს);

II. სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობა

2. მოსამართლემ არ მიიღო ზომები პროცესის მონაწილეთა სხდომაზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად (იძულებით წარმოდგენა, მოწმის ჩვენების გამოქვეყნება);¹

3. განაჩენის აღსასრულებლად მიუქცევლობა;

4. განაჩენის აღსასრულებლად არ მიქცევა ნივთმტკიცებების ნაწილში;²

III. განსჯადობის წესების დარღვევა

5. უზენაესი სასამართლოს განსჯადი საქმე განიხილა პირველი ინსტანციის სასამართლომ;³

IV. საქმისწარმოების ეტაპის გამოტოვება

6. მოსამართლემ გამოტოვა ბრალდებულის სამართალში მიცემის სტადია (საქმე არსებითად განიხილა ისე, რომ არ გამოუტანია დადგენილება ბრალდებულის სამართალში მიცემის თაობაზე, რაც სავალდებულო იყო გადაცდომის ჩადენის დროს მოქმედი კანონმდებლობით);⁴

V. არასწორი საპროცესო მოქმედებების განხორციელება

7. კანონით დადგენილი 48-საათიანი ვადის დარღვევით შეტანილი შუამდგომლობის განხილვა და დაპატიმრების ბრძანების გაცემა;

8. დაპატიმრების ბრძანების გაცემა პირის დაკავებიდან 72-საათიანი ვადის გასვლის შემდეგ;

9. განმწესრიგებელი სხდომის ჩატარება საქმეების გაერთიანების მიზნით;

10. ადვოკატის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა სამართლებრივი საფუძვლების არსებობის გარეშე;⁵

¹ რის გამოც სასამართლოს სხდომა 9-ჯერ გადაიდო;

² გავრცელებული დარღვევა;

³ საუბარია სსკ-ის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეზე;

⁴ სამართალში მიცემის პროცესუალური წესის დარღვევა, სსკ-ის 419-ე მუხლი, (მვ. რედაქცია);

11. სისხლის სამართლის წარმოების არ შეჩერება ძებნილი პირის მიმართ; საქმეში არ არის საქმის წარმოების განახლების შესახებ დადგენილება;⁶
12. არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვა კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით;⁷
13. კანონით დადგენილი წესის დარღვევით დაზარალებულების ცნობა სამოქალაქო მოსარჩელეებად;⁸
14. კანონით დადგენილი ვადის დარღვევით შეტანილი საჩივრის გადაგზავნა ზემდგომ სასამართლოში;⁹
15. ადვოკატის სხდომაზე დაშვება ორდერის გარეშე;
16. დაპატიმრების შეფარდების შესახებ ბრძანებაში პატიმრობის ვადის ათვლის არასწორად მითითება (პატიმრობის ვადის ათვლის დასაწყისად მოსამართლემ მიუთითა ბრძანების გაცემის დღე);¹⁰
17. სისხლის სამართალწარმოების დროს კოლეგიურად მისაღები გადაწყვეტილების ერთპიროვნულად გადაწყვეტა;¹¹
18. მოსამართლემ თავდაპირველად გამოიტანა დადგენილება პირისათვის იძულებითი დაცვის დანიშვნის თაობაზე, ხოლო შემდეგ ჩაატარა განმწესრიგებელი სხდომა;¹²
19. მოსამართლემ დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, განმწესრიგებელი სხდომის დადგენილებით დანიშნა სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა და დაადგინა ბრალდებულის მოთავსება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში;¹³
20. სასამართლო სხდომის დახურვა კანონით დადგენილი საფუძვლების გარეშე;¹⁴

⁵ ადვოკატმა მიმართა შუამდგომლობით პირის ჩხრეკისა და დაკავების ოქმების, ასევე პირის ეჭმიტანილად დაკავების დადგენილების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებებში თარჯიმნად მონაწილეობდა ერთი და იგივე პირი. მიუხედავად ამისა მოსამართლემ უარი უთხრა ადვოკატს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, სსსკ-ის 111-ე მუხლის პირველი ნაწილი და 106-ე მუხლი;

⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 451-ე მუხლი;

⁷ კერძოდ საკითხის განხილვას არ ესწრებოდა არც პროკურორი, არც არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი ან პედაგოგი ან ადვოკატი; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 644-ე, 645-ე და 140-ე მუხლის მე-9 ნაწილი;

⁸ სსსკ-ის 31-33-ე მუხლები, სამოქალაქო სარჩელი არ ყოფილა წარდგენილი კანონით დადგენილ ვადებში;

⁹ საჩივარი შეტანილი იქნა 7 დღისა და 4 საათის შემდეგ, დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის პირველი ნაწილი 215-216-ე მუხლები (გაცდენილი ვადის აღდგენის წესი);

¹⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 148-ე მუხლი;

¹¹ გადაწყვეტილება უნდა მიეღო კოლეგიურად, მიიღო ერთპიროვნულად, სსსკ-ის 44-ე მუხლის მე-8 ნაწილი;

¹² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 425-ე მუხლის "ა" პუნქტი;

¹³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის დარღვევა, რომლის თანახმადაც სამედიცინო ექსპერტიზისათვის სტაციონალურ დაწესებულებაში პირი თავსდება მოსამართლის ბრძანების ან საქმის განმხილველი მოსამართლის დასაბუთებული განჩინების საფუძველზე;

¹⁴ აღკვეთის ღონისძიების საკითხი განიხილა დახურულ სხდომაზე, როცა ამის საჭიროება არ არსებობდა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლის მე-6 ნაწილი;

21. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად აღკვეთის ახალი ღონისძიების შეფარდება ადრე შეფარდებული ღონისძიების გაუქმების შესახებ განჩინების გამოტანის გარეშე;¹⁵
22. აღკვეთის ღონისძიების სახით თავდებობის შეფარდების გადაწყვეტილებაში და სხდომის ოქმში თავდებად დანიშნული პირების რაოდენობისა და ვინაობის არ მითითება;¹⁶
23. პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსება 20 დღეზე მეტი ვადით;
24. გირაოს შესატანი ვადის გაგრძელება სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით;

VI. მოსამართლის აცილების სამართლებრივი საფუძვლის არსებობის მიუხედავად საქმის განხილვა

25. აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ ბრძანების დადასტურების შემდეგ მოსამართლემ განიხილა აღნიშნული საქმე და დაადგინა განაჩენი. სადისციპლინო ორგანომ ჩათვალა, რომ მოსამართლე არ იყო უფლებამოსილი არსებითად განეხილა მოცემული საქმე ვინაიდან არსებობდა მისი მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოება;¹⁷

VII. მხარეთა საპროცესო უფლებების დარღვევა

26. დაპატიმრების ბრძანებაზე შეტანილი საჩივრის განხილვა ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე, ამ უკანასკნელის მოთხოვნის მიუხედავად;
27. შუამდგომლობის განხილვა პროკურორის მონაწილეობის გარეშე;¹⁸
28. სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაზარალებულის მოწვევის გარეშე (სსსკ-ის 431-ე მუხლი, 2004 წლისთვის მოქმედი რედაქცია);
29. კერძო ბრალდების საქმის წარმოებისას მხარეებისათვის უფლებებისა და ვალდებულებების არ განმარტება;¹⁹
30. აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვა არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე (კოლეგიამ ჩათვალა, რომ ქმედების ჩადენის დროს მოქმედი სსსკ-ის 644-ე

¹⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 155-ე მუხლის მე-2 ნაწილი;

¹⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები;

¹⁷ სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-3 ნაწილი (ძველი რედაქცია);

¹⁸ გადაცდომის ჩადენის დროისთვის მოქმედი კოდექსის (შემდგომში „მოქმედი კოდექსის“) 416-ე მუხლით „სასამართლო განხილვაში პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა, პროკურორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში საქმე უნდა გადაიდოს“;

¹⁹ კერძო ბრალდების საქმის განხილვისას მოსამართლემ დაარღვია საჩივრის მიღების საფუძვლიანობისა და კანონიერების წინასწარი შემოწმების სამართლებრივი საფუძვლები, არ განუმარტა განმცხადებელს შეგნებულად ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე, არ გააცნო საჩივარი პირს, რომლის წინააღმდეგაც იგი იყო შეტანილი, არ გადასცა მას საჩივრის ასლი, არ განუმარტა თავიანთი უფლება-მოვალეობანი მხარეებს, რამაც გამოიწვია საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება;

მუხლი სავალდებულოდ არ ითვალისწინებს არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობას. ამიტომ ამ ნაწილში მოსამართლე გამართლდა);

31. მოსამართლემ კერძო ბრალდების საქმეზე ისე აღძრა სისხლის სამართლის საქმე, რომ არ განუმარტა განმცხადებელს პასუხისმგებლობა შეგნებულად ცრუ დასმენისათვის და არ ჩამოართვა ხელწერილი, არ გააცნო საჩივარი იმ პირს, რომლის მიმართაც შეტანილი იყო იგი;²⁰

32. დაზარალებულისათვის სახაზინო წესით დამცველის დანიშვნის შესახებ შუამდგომლობის განხილვაზე და მისთვის სახაზინო დამცველის დანიშვნაზე უარის თქმა;²¹

33. აღკვეთის ღონისძიების დადასტურების საკითხის განხილვისას, ბრალდებულმა მოითხოვა გირაოს გამოყენება, თუმცა მოსამართლეს არ უმსჯელია აღნიშნულ შუამდგომლობაზე;

34. აღკვეთის ღონისძიების დადასტურების საკითხის განხილვისას, სხდომის ოქმში არ არის მითითებული თუ რა მოითხოვა ბრალდებულმა: აღკვეთის ღონისძიების გაუქმება თუ შეცვლა;²²

35. მოსამართლემ განაჩენის გამოცხადება გადადო სხვა დროისათვის და პატიმარი ისე დაუბრუნა საპროცესო ბინას, რომ მიმართვაში არ მიუთითა განაჩენის გამოცხადების თარიღი, რის გამოც მსჯავრდებული ვერ დაესწრო განაჩენის გამოცხადებას;²³

36. საპროცესო შეთანხმების დამტკიცება დამცველის სავალდებულო მონაწილეობის გარეშე;

37. პატიმრობის 12-თვიანი ვადის გასვლის მიუხედავად განსასჯელის დატოვება პატიმრობაში;

VIII. გადაწყვეტილების მიღება სამართლებრივი საფუძვლების გარეშე

38. განსასჯელის დაუსწრებლად საქმის განხილვა და განაჩენის დადგენა;²⁴

39. სასჯელის მოხდის გადავადება სამართლებრივი საფუძვლების არსებობის გარეშე;²⁵

²⁰ მოსამართლემ დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 628-ე მუხლი, რომლის თანახმადაც „საჩივრის მიღების შემდეგ მოსამართლემ უნდა განუმარტოს განმცხადებელს პასუხისმგებლობა შეგნებულად ცრუ დასმენისათვის და ჩამოართვას ხელწერილი, გამოიძახოს და გააცნოს საჩივარი იმ პირს, რომლის მიმართაც შეტანილია იგი, მიიღოს განმარტება დაზარალებულისაგან ან იმ პირისაგან, რომლის მიმართაც შეტანილია საჩივარი; გამოითხოვოს საჭირო დოკუმენტები; განსაზღვროს სასამართლოში გამოსამახებელ და დასაკითხ პირთა წრე“;

²¹ დაზარალებულს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეეძლო თავისი ინტერესების დაცვა, მოსამართლემ დაარღვია დაცვის უფლება;

²² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილი;

²³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-4 ნაწილი;

²⁴ საქმის წარმოების განახლების საფუძვლად მოსამართლემ მიიჩნია სახლმმართველობის მიერ გაცემული ცნობა, რომ განსასჯელის ადგილსამყოფელი უცნობია და არაოფიციალური ცნობით ის იმყოფება რუსეთის ფედერაციაში. აღნიშნულის საფუძველზე მოსამართლემ მიიჩნია რომ განსასჯელი გასულია ქვეყნის ფარგლებს გარეთ და თავს არიდებს გამოძიებას, შედეგად განაახლა საქმის წარმოება და მისი დასწრების გარეშე დაადგინა განაჩენი; გადაცდომის ჩადენის დროისთვის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 443-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად „განსასჯელის დაუსწრებლად საქმის განხილვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა განსასჯელი საქართველოს ფარგლებს გარეთაა და თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას“;

²⁵ მოსამართლემ მსჯავრდებულს სასჯელი გადაუვადა რაიონის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფოს მორიგე ექიმის ცნობის საფუძველზე. გადაცდომის ჩადენის დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 607-ე

40. საქმის წარმოების შეჩერება სამართლებრივი საფუძვლების არსებობის გარეშე (მოსამართლემ საქმისწარმოება შეაჩერა მხარის ავადმყოფობის გამო, თუმცა საქმეში არ დევს შესაბამისი ექსპერტის დასკვნა);²⁶
41. არაუფლებამოსილი პირის საჩივრის საფუძველზე აღკვეთის ღონისძიების სახის შეცვლა უფრო მძიმე სახით;²⁷
42. საქმის წარმოების განახლება ისე, რომ საქმე არ იყო შეჩერებული არ არსებობდა შეჩერების განჩინება;
43. აღკვეთის ღონისძიების სახის შეცვლა კანონით დადგენილი საფუძვლების არსებობის გარეშე;²⁸
44. მოსამართლემ საპატიმრო აღკვეთის ღონისძიება შეცვალა გაუსვლელობის ხელწერილით ბრალდებულის ავადმყოფობის გამო (მართალია გადაწყვეტილებაში არ იყო დასაბუთებული, თუ რატომ გახდა საჭირო აღკვეთის ღონისძიების შეცვლა, კოლეგიამ ჩათვალა, რომ მოსამართლეს კანონი არ დაურღვევია, ამიტომ ამ ნაწილში გაამართლა);
45. სასამართლომ ბრალდებულის ავადმყოფობა (რომელიც სახეზე იყო აღკვეთის ღონისძიების შეფარდების დროსაც, თუმცა არ გამხდარა სასამართლოს მსჯელობის საგანი) მიიჩნია არსებით ახალ გარემოებად, რის საფუძველზე შეცვალა გამოყენებული აღკვეთი ღონისძიება;
46. პირობითი მსჯავრის დაკისრებისას, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე პირის პატიმრობაში დატოვება;²⁹
47. სისხლის სამართლის საქმის განხილვა საბრალდებო დასკვნის არსებობის გარეშე; სისხლის სამართლის საქმის არ აღძვრის დადგენილებაზე არაუფლებამოსილი პირის მიერ შეტანილი საჩივრის განხილვა;³⁰
48. დაპატიმრების ბრძანების გაცემა დაკავების ოქმის არსებობის გარეშე, რის გამოც შეუძლებელი იყო დაკავების ვადის ათვლა (მოსამართლე გამართლდა);³¹
49. კანონის მოთხოვნათა დარღვევით შედგენილი დაკავების ოქმების საფუძველზე წინასწარი პატიმრობის შეფარდება;³²

მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: სასჯელის გადავადება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო სამედიცინო ექსპერტის დასკვნის საფუძველზე მსჯავრდებულის მძიმე ავადმყოფობით დაავადების შემთხვევაში”;

²⁶ სსსკ-ის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის ”გ” ქ/პ-ის თანახმად (ძველი რედაქცია) სისხლის სამართალწარმოება შეჩერდება თუ: ”ბრალდებული ფსიქიკურად ან სხვა მძიმე ავადმყოფობით დაავადდა, რაც დადასტურებულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნით - დაუყოვნებლივ ამ ფაქტის დადგენიდან ბრალდებულის გამოჯანმრთელებამდე”;

²⁷ გამომძიებლის საჩივრის საფუძველზე აღკვეთის ღონისძიების შეცვლა უფრო მძიმე სახის ღონისძიებით;

²⁸ საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების მოტივით. კოლეგიამ აღნიშნა, რომ ასეთი საფუძველით აღკვეთი ღონისძიების სახის შეცვლას საქართველოს კანონმდებლობა არ უშვებს;

²⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 513-ე მუხლის ”დ” ქვეპუნქტი;

³⁰ საჩივარი შეტანილია დაზარალებულის მეუღლის მიერ;

³¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილის ”დ” ქვეპუნქტი;

³² დაკავების ოქმში არ არის მითითებული თუ რა საფუძველით და რა გარემოებაში მოხდა ბრალდებულის დაკავება, სსსკ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის 2¹ ნაწილი;

50. აღკვეთის ღონისძიების შეცვლა კანონით დადგენილი საფუძვლების არსებობის გარეშე, მძიმე ოჯახური მდგომარეობის გამო (მოსამართლე გამართლდა);³³
51. კერძო ბრალდების საქმის შეწყვეტა სამართლებრივი საფუძვლების არსებობის გარეშე;³⁴
52. განაჩენის გასაჩივრების 14-დღიანი ვადის გასვლის მიუხედავად საკასაციო საჩივრის გადაგზავნა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში და საქმის განხილვა კანონიერ ძალაში შესული განაჩენის არსებობის პირობებში;³⁵
53. ბრალდებულისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება, მისი სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის გარეშე;³⁶
54. სისხლის სამართლის საქმეზე განმწესრიგებელი სხდომის ჩატარება კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე;³⁷
55. აღკვეთის ღონისძიების სახით საპატიმრო გირაოს უსაფუძვლო გამოყენება;³⁸
56. განმწესრიგებელი სხდომიდან საქმის ხელახლა გამოძიებაში დაბრუნება სამართლებრივი საფუძვლების არსებობის გარეშე;³⁹

IX. სამართალწარმოების ენის პრინციპის დარღვევა

57. რუსულ ენაზე შემოტანილი შუამდგომლობის დაკმაყოფილება;⁴⁰
58. რუსულენოვანი განცხადების წარმოებაში მიღება;

X. დაუსაბუთებელი აცილება და თვითაცილება (ან უარი აცილებაზე)

59. მოსამართლემ საქმე ისე აიცილა, რომ არ დაასაბუთა ეს გადაწყვეტილება, არ მიუთითა ნორმა, რითაც იხელმძღვანელა საქმის თვითაცილების დროს;

³³ სსსკ-ის 140-ე მუხლის მე-17 ნაწილი;

³⁴ მოსამართლემ შეწყვეტა კერძო ბრალდების საქმე მხარეთა გამოუცხადებლობის მოტივით, მაშინ როცა მხარეები არ გამოუძახებიათ კანონით დადგენილი წესით, სსსკ-ის 638-ე მუხლი;

³⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 550-ე და 523-ე მუხლები (ძველი რედაქცია);

³⁶ 36-ე მუხლის პირველი ნაწილი, ძველი რედაქცია;

³⁷ სასამართლომ განმწესრიგებელი სხდომა ჩაატარა საამისოდ სავალდებულო შუამდგომლობების არსებობის გარეშე (შუამდგომლობა სამოქალაქო სარჩელისა და მისი უზრუნველყოფის ზომების შესახებ). გადაცდომის ჩადენის დროისთვის მოქმედი კოდექსის სსსკ. 417-ე მუხლის მე-2 ნაწილით “ არასრულწლოვანთა დანაშაულის ან იმ დანაშაულის საქმეზე, რომლისთვისაც სასჯელად შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა 15 წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე არ ეთანხმება საბრალდებო დასკვნას, აგრეთვე 422-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შუამდგომლობის არსებობის დროს, ტარდება სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომა“;

³⁸ საუბარია სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე, რაც ითვალისწინებს 1 წლამდე თ/აღკვეთას, რომლისთვისაც კანონი (სსსკ-ის 159-ე მუხლი) პატიმრობას არ ითვალისწინებს;

³⁹ პროკურორმა და ბრალდებულმა მოითხოვეს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა; სსსკ-ის 426-ე მუხლის პირველი ნაწილის “გ” ქ/პუნქტის თანახმად ასეთი დასაშვებია თუ პროკურორი შუამდგომლობს უფრო მძიმე ბრალდების წაყენებას;

⁴⁰ საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლი;

60. მოსამართლის მიერ საქმის აცილების გამოუყენებლობა;⁴¹
61. მოსამართლემ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა და საქმე აიცილა დაუსაბუთებლად (ამ ნაწილში მოსამართლე გამართლდა);⁴²
62. მოსამართლემ საქმის თვითაცილების საფუძველად მიუთითა მხოლოდ ის, რომ დაზარალებულს აქვს ეჭვი მოსამართლის მიუკერძოებლობასა და სამართლიანობაზე;
63. მოსამართლემ პროკურორის აცილების თაობაზე გადაწყვეტილების საფუძველად მიუთითა ის გარემოება, რომ პროკურორი მონაწილეობდა ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის განხილვაში;⁴³
64. მოსამართლის მიერ საქმის განხილვის აცილების საფუძველი გახდა დაზარალებულის მხრიდან გამოვლენილი აგრესია;⁴⁴

XI. მატერიალურ სამართლებრივი ნორმის გამოუყენებლობა ან არასწორი გამოყენება

65. პირობითი მსჯავრის განსაზღვრისას გამოსაცდელ ვადად კანონით დადგენილ მინიმუმზე ნაკლები პერიოდის განსაზღვრა;⁴⁵
66. მოსამართლის მიერ ამნისტის კანონის არასწორი გამოყენება;⁴⁶
67. სასჯელთა შეკრების წესის დარღვევა განაჩენთა ერთობლიობისას;⁴⁷
68. პირობითი მსჯავრის არასწორად გამოყენება;⁴⁸
69. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის არასწორი გამოყენება;⁴⁹

⁴¹ მოსამართლემ ერთი პირის მიმართ დაამტკიცა საპროცესო გარიგება ხოლო დანარჩენი სამი პირის მიმართ განაგრძო საქმის არსებითად განხილვა;

⁴² იმ მოტივით, რომ მოსამართლეს მიემართა სარეკომენდაციო ბარათით მხარის საჩივრის საფუძველზე. ასევე მოსამართეს ჰქონდა შეტანილი საჩივარი მხარის წინააღმდეგ პოლიციაში ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე. კოლეგიამ ჩათვალა, რომ ასეთ ვითარებაში ეჭვი მოსამართლის ობიექტურობის მიმართ დასაბუთებული იყო და მოსამართლემ საფუძვლიანად აიცილა საქმის განხილვა;

⁴³ სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: „პროკურორის მიერ თავისი ფუნქციების განხორციელება სამართალწარმოების არცერთ სტადიაზე არ აბრკოლებს ამ საქმეში მის შემდგომ მონაწილეობას“;

⁴⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი;

⁴⁵ იმ დროისთვის მოქმედი სსსკ-ის 64-ე მუხლით „ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთის ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნისას გამოსაცდელი ვადა უნდა იყოს არანაკლებ ერთი და არაუმეტეს 3 წლისა“;

⁴⁶ საუბარია 2007 წლის ამნისტის კანონზე, მოსამართლემ ამნისტის საფუძველზე პირს გაუნახევრა პირობითი მსჯავრის ვადა - მსჯავრდებულის მიერ მოხდილი პირობითი საგამოცდო ვადა პირს ჩაუთვალა სასჯელის - თ/აღკვეთის მოხდილ პერიოდად;

⁴⁷ მოსამართლემ პირობითი საგამოცდო ვადა ჩაუთვალა პირს სასჯელის - თავისუფლების აღკვეთის მოხდილ ვადაში;

⁴⁸ სსკ-ის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილი, პირი არ აღიარებდა დანაშაულს, არ თანაშრომლობდა გამოძიებასთან;

⁴⁹ საუბარია სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე, რომლისთვისაც გათვალისწინებულია გარკვეული უფლებების შეზღუდვა 5 წლის ვადით. მოსამართლემ აღნიშნული უფლებები პირს შეუზღუდა 3 წლით;

70. გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად;⁵⁰
71. პირობითი მსჯავრის გამოყენება საპროცესო შეთანხმების დადების გარეშე;
72. საქართველოს სსკ-ში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, სსკ-ის 184-ე მუხლით ბრალდებული პირის გამართლება;⁵¹
73. განაჩენში თ/აღკვეთის პირობითი მსჯავრით შეცვლისას გამოსაცდელი ვადის განუსაზღვრელობა;⁵²
74. არასრულწლოვანის მიმართ კანონით დადგენილი სასჯელის 1/4-ით შემცირების წესის არასწორი გამოყენება;⁵³
75. განზრახ მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირისათვის სასჯელის პირობით ჩათვლა;⁵⁴
76. სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენებისას პირის პატიმრობაში ყოფნის გათვალისწინებით, სასჯელისაგან სრულად განთავისუფლების ან სასჯელის შემსუბუქების თაობაზე განაჩენში მსჯელობის არ ქონა;⁵⁵
77. განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელთა შეკრებისას ამნისტიის კანონის გამოყენებლობა;⁵⁶
78. გამოსაცდელ ვადად კანონით დადგენილზე ნაკლები პერიოდის განსაზღვრა;⁵⁷
79. პირის დაჯარიმება დღიური ანაზღაურების ოდენობის მითითების გარეშე;⁵⁸
80. გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაულის ჩადენისას პირობითი მსჯავრის არ გაუქმება და სასჯელის არ დანიშვნა;⁵⁹
81. განაჩენთა ერთობლიობისას, განაჩენით დადგენილი სასჯელის მოხდის ვადის ათვლის დასაწყისად წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდის ბოლო დღის მითითება;⁶⁰

⁵⁰ საქმე ეხებოდა სსკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, რაც იმ დროისათვის ითვალისწინებდა 2 წლამდე თ/აღკვეთას, დაირღვია სსკ-ის 71-ე მუხლის მოთხოვნა;

⁵¹ მოსამართლემ მიიჩნია, რომ მოხდა სსკ-ის 184-ე მუხლის დეკრიმინალიზაცია და გაამართლა ბრალდებული. კოლეგიამ ჩათვალა, რომ მოსამართლეს პირის ქმედება უნდა გადაეკვალიფიცირებინა სხვა ანალოგიურ მუხლებზე: 177-ე, 178-ე, 179-ე და ა.შ.;

⁵² სსკ-ის 63-ე, 64-ე მუხლების მოთხოვნა;

⁵³ მოსამართლემ არასრულწლოვანს ჯერ 15 წლამდე შეუმცირა სასჯელი, შემდეგ შეუმცირა 1/4-ით (სსკ-ის 88-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილები, 2007 წლის რედაქცია);

⁵⁴ ბრალდებული არ აღიარებდა დანაშაულს, არ თანამშრომლობდა გამოძიებასთან, ჩაიდინა განზრახი დანაშაული (სსკ-ის 63-64-ე მუხლები);

⁵⁵ საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილი;

⁵⁶ მოსამართლემ ამნისტიის საფუძველზე პირს არ გაუნახევრა ადრე დანიშნული სასჯელი (საუბარია სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე), აღნიშნული დარღვევა გამოსწორდა სააპელაციო სასამართლოში;

⁵⁷ განაჩენით პირს მიესაჯა ტუსალობა 1 თვის ვადით, რაც შეეცვალა პირობითი მსჯავრით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 თვე, სსკ-ის 64-ე მუხლით გათვალისწინებულია არანაკლებ ერთი წლისა და არაუმეტეს სამი წლის ვადით;

⁵⁸ სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილი;

⁵⁹ სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილი;

82. ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა 5 თვის ვადით, სსკ-ის 50-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევით;⁶¹
83. პირობითი მსჯავრის პერიოდში ჩადენილი განზრახი დანაშაულისთვის სასამართლომ პირს მიუსაჯა კვლავ პირობითი მსჯავრი;⁶²
84. განსაკუთრებით საშიში რეციდივის დროს კანონით დადგენილ ვადაზე ნაკლები სასჯელის დანიშვნა;⁶³
85. განაჩენის დადგომისას მსჯავრდებულის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებზე მსჯელობის არ ქონა;⁶⁴
86. ნივთმტკიცების არასწორად გადაცემა სახელმწიფოსათვის;⁶⁵
87. არასრულწლოვანის მიმართ სასჯელის შემცირებაზე მსჯელობის არ ქონა;⁶⁶

XII. ხარვეზები გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში

88. სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის წინააღმდეგ მიმართული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების არ დასაბუთება. საქმეში არსებული მტკიცებულებების არ შეფასება და მათზე მსჯელობის არ ქონა;⁶⁷
89. განაჩენით ფინანსთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მსჯავრდებულს სოლიდარულად დაეკისრათ 400 000 ლარის გადახდა. აღნიშნულ ნაწილში განაჩენი იყო დაუსაბუთებელი, არ ჩანდა საიდან მივიდა სასამართლო ამ დასკვნამდე;⁶⁸

XIII. ხარვეზები გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში

90. განაჩენის დადგენისას ნივთმტკიცებების ბედზე მსჯელობის არ ქონა;⁶⁹
91. გამამტყუნებელ განაჩენში, გამოყენებული საპროცესო იძულების ღონისძიების (ყადალის) საკითხის გადაუწყვეტელობა;

⁶⁰ სისხლის სამართლის კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილი (განაჩენთა მთლიანად ან ნაწილობრივ შეკრების წესი);

⁶¹ ინიშნება 6 თვიდან 20 წლამდე;

⁶² სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილი;

⁶³ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლი;

⁶⁴ სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი;

⁶⁵ სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის მე-3 ნაწილი;

⁶⁶ სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები;

⁶⁷ "საჩივარი დასაბუთებული უნდა იყოს", სსკ-ის 241-ე მუხლის პირველი ნაწილი;

⁶⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 496-ე მუხლი;

⁶⁹ ყველაზე მეტად გავრცელებული დარღვევის სახე;

92. სასჯელის მოხდის ვადაში დაკავებისა და დაპატიმრების დროის არ ჩათვლა;⁷⁰
93. პირს, რომელიც პირველად იყო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, სასამართლომ მიუსაჯა 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით;⁷¹
94. შინაპატიმრობაში გატარებული პერიოდის არ ჩათვლა განაჩენით დანიშნული სასჯელის საერთო ვადაში;⁷²
95. განაჩენით პირს დაენიშნა ჯარიმა, მოსამართლემ აღნიშნული პირი დატოვა პატიმრობაში განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;⁷³
96. მოსამართლის დადგენილებით განაჩენი ძალაში შევიდა რამდენიმე თვის შემდეგ, მაშინ როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ძალაში შედის მიღებისთანავე;⁷⁴
97. განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის არასრულად ჩამოყალიბება (მოსამართლე გამართლდა);⁷⁵
98. სასჯელის ვადის დასაწყისის არასწორად მითითება, რამაც გამოიწვია მსჯავრდებულის 15 დღით ადრე გათავისუფლება (საქმე შეწყდა მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის გამო);⁷⁶
99. აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებისას გირაოს შეტანის ვადის არ მითითება;

XIV. გასაჩივრების წესის არასწორად მითითება

100. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების წესის არასწორი განმარტება;⁷⁷
101. საქმის არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილ განაჩენში გასაჩივრების უფლების მიუთითებლობა;⁷⁸
102. განაჩენის გასაჩივრების წესის არასრულად მითითება;⁷⁹

⁷⁰ სსსკ-ის 509-ე მუხლი;

⁷¹ "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მკაცრი რეჟიმი ენიშნებათ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის ან რეციდივის შემთხვევაში;

⁷² პირმა შინაპატიმრობაში გაატარა 7 თვე და 19 დღე, მოსამართლემ აღნიშნული ვადა არ ჩათვალა განაჩენით დანიშნული სასჯელის საერთო ვადაში, სსსკ-ის 162-ე მუხლის მე-7 ნაწილი;

⁷³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 513-ე მუხლის "ვ" ქვეპუნქტი (პირი დაუყოვნებლივ თავისუფლდება დარბაზიდან);

⁷⁴ სსსკ-ის 602-ე მუხლის პირველი ნაწილი;

⁷⁵ სსსკ-ის 509-ე მუხლის მე-2 ნაწილი;

⁷⁶ სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილი;

⁷⁷ სსსკ-ის 679⁶ მუხლი, ძველი რედაქცია, მოსამართლემ მიუთითა, რომ განაჩენი საჩივრდებოდა ერთ თვეში;

⁷⁸ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ განაჩენში მოსამართლემ მიუთითა, რომ „განაჩენი არ ექვემდებარება გასაჩივრებას“;

XV. გადაწყვეტილების ფორმის დაუცველობა

103. პროკურატურისთვის ცალკეული საგამომიებო მოქმედების ჩატარების დავალდებულება კერძო განჩინების გამოტანის გარეშე;⁸⁰

104. გასაჩივრების გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ დადგენილების გამოტანის ნაცვლად მხარისათვის პასუხის გაცემა წერილით;

XVI. სხვა სახის ხარვეზები გადაწყვეტილებაში

105. სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული მისი გამოტანის თვე და წელი;

XVII. მოსამართლე გაცდა უფლებამოსილების ფარგლებს

106. დაპატიმრებული პირის მიმართ დაპატიმრების ახალი ბრძანების გაცემა;⁸¹

107. მოსამართლემ 3 ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ ხელწერილის გამოყენების თაობაზე ბრძანებაში მიუთითა, რომ ბრალდებულთა მიმართ ”წარდგენილი ბრალდება დადასტურებულია საქმეში არსებული მტკიცებულებებით”, რითაც დაარღვია პირის უდანაშაულობის პრეზუმფცია (მოსამართლე გამართლდა);

108. საპროცესო შეთანხმების საფუძველზე დადგენილ განაჩენში მოსამართლემ, პირი ბრალეულად ცნო სხვა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში;⁸²

109. ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრისას განაჩენის არსებითად შეცვლა სასჯელის ნაწილში;⁸³

XVIII. საპროცესო ვადების დარღვევა

110. სისხლის სამართლის საქმის არ აღძვრის დადგენილებაზე შეტანილი საჩივრის განხილვა კანონით დადგენილი 15 დღიანი ვადის დარღვევით;⁸⁴

⁷⁹ საქმე განხილულ იქნა მსჯავრდებულის დაუსწრებლად. მოსამართლემ გადაწყვეტილებაში მიუთითა განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრების მხოლოდ საერთო წესზე;

⁸⁰ სასამართლომ დააკმაყოფილა რა დაზარალებულის შუამდგომლობა მხარეთა მონაწილეობით შემთხვევის ადგილის დამატებითი დათვალიერების შესახებ, იმავე სხდომაზე დააკმაყოფილა შუამდგომლობა იმავე განჩინებით და არა კერძო განჩინებით, და პროკურატურას დაავალა ცალკეული საგამომიებო მოქმედების ჩატარება. მაშინდელი სსსკ. 50-ე მუხლის მე-6 ნაწილი, რომელიც ეხება კერძო განჩინებას, მიუთითებს შემდეგს: „სასამართლოს (მოსამართლეს), რომლის წარმოებაშიცაა საქმე, უფლება აქვს დაავალოს მოკვლევის ორგანოს, გამომძიებელს, პროკურორს ცალკეული საგამომიებო მოქმედების ჩატარება, თუ სასამართლო განხილვის სტადიაზე მისი ჩატარება შეუძლებელია.“

⁸¹ მსჯავრდებული სასჯელადსრულებითი დაწესებულებიდან შეიძლება გადაიყვანონ საგამომიებო იზოლატორში ან დატოვონ საგამომიებო იზოლატორში განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, თუ ის არის მოწმე, დაზარალებული ან ბრალდებული სხვა საქმეზე, სსსკ-ის 161-ე მუხლის მე-2 ნაწილი;

⁸² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 509-ე მუხლის პირველი ნაწილი ”გ” ქვეპუნქტი;

⁸³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 615-ე მუხლი;

111. კერძო ბრალდების წესით სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე შეტანილი საჩივრის განხილვა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით;⁸⁵
112. ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული გონივრული ვადის უფლების დარღვევა (პატიმრობაში მყოფი პირის საქმის განხილვა 5 თვეზე მეტი ვადით - საოლქო სასამართლოს კოლეგიამ მიმართა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს პატიმრობის ვადის გაგრძელების მოთხოვნით, რაც არ დაკმაყოფილდა);
113. ბრალდებულის წინასწარ პატიმრობაში დატოვება 9-თვიანი ვადის დარღვევით;⁸⁶
114. კერძო ბრალდების წესით შეტანილი საჩივრების გამო გადაწყვეტილების მიღების 7-დღიანი ვადის დარღვევა;⁸⁷
115. სისხლის სამართლის შეწყვეტის თაობაზე მიღებულ დადგენილებაზე შეტანილი საჩივრის განხილვა კანონით დადგენილი 15-დღიანი ვადის დარღვევით;
116. ბრალდებულის წინასწარ პატიმრობაში ყოფნის 9-თვიანი ვადის დარღვევა;
117. პირის მიმართ რეაბილიტაციის საქმის განხილვის კანონით დადგენილი 1-თვიანი ვადის დარღვევა;⁸⁸
118. სისხლის სამართლის საქმე მოსამართლის წარმოებაში იმყოფებოდა 1 წლის, 9 თვისა და 26 დღის განმავლობაში. ამ პერიოდში სასამართლო სხდომები არ ჩატარებულა და რაიმე საპროცესო მოქმედება არ განხორციელებულა;
119. საჩივრის განხილვა კანონით დადგენილი 15-დღიანი ვადის დარღვევით (მოსამართლე გამართლდა);⁸⁹
120. ბრალდებულის სამართალში მიცემა ვადის დარღვევით;⁹⁰
121. დაკავებული (ძებნილი) ბრალდებულის მოსამართლისათვის წარდგენის კანონით დადგენილი 48-საათიანი ვადის დარღვევა (მოსამართლე გამართლდა);⁹¹
122. საგამომიებო მოქმედების ჩატარების ბრძანების გაცემა კანონის გათვალისწინებული 24-საათიანი ვადის დარღვევით;

⁸⁴ სსსკ-ის 242-ე მუხლის 4-ე ნაწილი (ძველი რედაქცია);

⁸⁵ სსსკ-ის 629-ე მუხლის (ძველი რედაქცია) თანახმად, "კერძო ბრალდების წესით შეტანილი საჩივრის გამო გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს საჩივრის შეტანიდან არაუგვიანეს 7 დღე-ღამისა";

⁸⁶ ბრალდებული წინასწარი გამომიების სტადიაზე, საპატიმრო ვადების გაუგრძელებლად, პატიმრობაში იმყოფებოდნენ 13 თვისა და 21 დღის განმავლობაში (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი);

⁸⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 629-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კერძო ბრალდების წესით შეტანილი საჩივარი განხილვა მისი შეტანიდან 7 დღის ვადაში;

⁸⁸ სსსკ-ის 227-ე მუხლი (ძველი რედაქცია) მოსამართლემ საქმე განიხილა ოთხი თვის დაგვიანებით;

⁸⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის თანახმად, საჩივარი გამომიებლის მოქმედებასა და გადაწყვეტილებაზე განიხილება 15 დღის ვადაში;

⁹⁰ ბრალდებული სამართალში მიცემულ იქნა სისხლის სამართლის საქმის მოსამართლისათვის გადაცემიდან 6 თვისა და 23 დღის შემდეგ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლი;

⁹¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილი;

XIX. საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება

123. სისხლის სამართლის საქმის არაგონივრულ ვადაში განხილვა, მსამართლე საქმეს იხილავდა 2 წელზე მეტი დროის განმავლობაში;⁹²
124. განსჯადობის გამო სისხლის სამართლის საქმის დაგვიანებით გადაგზავნა სხვა სასამართლოში;
125. ზემდგომ სასამართლოში საქმის გადაგზავნა თვითაცილების განჩინების გამოტანიდან 6 თვის შემდეგ;⁹³
126. სისხლის სამართლის საქმის არაგონივრულ ვადაში განხილვა, საქმის განხილვის დასრულება ვერ მოხერხდა 12 თვის განმავლობაში;⁹⁴
127. მოსამართლე სისხლის სამართლის საქმეს წარმოებაში იღებდა საქმის მისთვის გადაცემიდან დაახლოებით 1 წლის შემდეგ;
128. სათათბირო ოთახში გასვლის შემდგომ, სასამართლო გამოძიების განახლება და საქმის განსახილველად გადაცემა ქვემდგომი სასამართლოსათვის, რასაც შედეგად მოჰყვა პირველი ინსტანციის მიერ საქმის განხილვის თავიდან დაწყება;⁹⁵

XX. ტექნიკური გაუმართაობები საქმეში

129. აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას სხდომის ოქმში, სხდომის დაწყებისა და დამთავრების დროის შესახებ არასწორი მონაცემების შეტანა;⁹⁶
130. სხდომის ოქმში სხდომის დაწყებისა და დასრულების დროის მიუთითებლობა;
131. საქმეში არის ხელმოუწერელი განაჩენი, არ დევს სხდომის ოქმი;
132. სისხლის სამართლის საქმეში არსებული დადგენილებისა და სხდომის ოქმის თარიღის არასწორად მითითება;

XXI. სხვადასხვა

133. საქმის თვითაცილების შემდეგ მასზე საპროცესო მოქმედებების განხორციელება (არ დადასტურდა და მოსამართლე ამ ეპიზოდში გამართლდა);

⁹² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლი;

⁹³ გადაგზავნა ზემდგომ სასამართლოში თვითაცილების შესახებ განჩინების მიღებიდან 6 თვის შემდეგ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლის მე-11 ნაწილი;

⁹⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მე-8 ნაწილი, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას განსასჯელის პატიმრობის ვადა, განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე, საქმის სასამართლოსათვის გადაცემის შემდეგ, არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს;

⁹⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 498-ე მუხლი;

⁹⁶ შედეგად მოჰყვა ბრალდებულების პატიმრობიდან გათავისუფლება, რითაც ზიანი მიადგა საჯარო ინტერესს;

134. ჯარიმის ოდენობის არასწორად გამოთვლა;
135. მოსამართლემ სასამართლო მოხელეებთან ურთიერთობაში დაარღვია ეთიკის ნორმები;
136. სადისციპლინო კომისიისათვის ახსნა-განმარტების არ წარდგენა;⁹⁷
137. მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენა.

⁹⁷ დისციპლინური უფლებამოსილების მქონე ორგანოს საქმიანობისათვის ხელის შეშლა და მისდამი უპატივცემულობა.